

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები	2018 წ.	2017 წ.
ფული და ფულის ეკვივალენტები	110 395	217 904
საფაქრო მოთხოვნები	151 826	110 584
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი მარაგები	53 291	56 162
- მზა პროდუქცია	53 291	56 162
- სხვა		
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	8 894	7 954
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	1 101	1 321
ძირითადი საშუალებები	73 611	80 560
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	399 118	474 485
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
საფაქრო ვალდებულებები	221 804	256 388
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2 657	
საგადასახადო ვალდებულებები		
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	224 461	256 388
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	174 657	218 097
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	174 657	218 097
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	399 118	474 485

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	3 766 351
საქონლის გაყიდვიდან	3 739 346
მომსახურების გაწევიდან	27 005
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	-
სხვა	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3 140 561)

საწყისი მარაგები	(56 162)
მარაგების შესყიდვა	
გადაბეზების დანახარჯები	(3 137 690)
საბოლოო მარაგები	53 291
საერთო მოგება	625 790
სხვა შემოსავალი	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(232 968)
ცვეთა და ამორტიზაცია	(7 169)
საპროექტო შემოსავალი:	
საპროექტო ხარჯი :	
ოჯარის ხარჯი	(50 849)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(210 876)
სულ საოპერაციო ხარჯები	(501 862)
საოპერაციო მოგება	123 928
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	
სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	123 928
მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	123 928
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	123 928
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	218 097
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	
განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)	(167 368)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	123 928
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	174 657

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(107 509)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(107 509)
სავალუტო კურსის ეფექტი	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	217 904
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	110 395

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის .

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“ (ს/ნ 212920892) დაფუძნებულია 2010 წელს საქართველოში, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უალკოჰოლო სასმელებზე საბითუმო ვაჭრობა. დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი ზ.გამსახურდიას ქ.60. კომპანიის დამფუძნებლები არიან:

- ნინო ბერიძე (პ/ნ-60003006406) - საქართველოს მოქალაქე
- თამაზი გუგუშაშვილი (პ/ნ 60001038305) - საქართველოს მოქალაქე
- მამუკა ვაშაკიძე (პ/ნ-60002007692) - საქართველოს მოქალაქე
- პაატა გელაშვილი (პ/ნ-60001093551) - საქართველოს მოქალაქე

კომპანია ბუღალტრული აღრიცხვისათვის იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ორისი“. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 33 კაცს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებებია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხოვრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

4.1 ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენება

კომპანია ადრეულ პერიოდებში ამზადებდა გარკვეულ ფინანსურ ინფორმაციას საკუთარი მოხმარებისათვის, რომელიც განკუთვნილი არ იყო გარე მომხმარებლებისათვის, კომპანიის მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება პირველად მომზადებულია მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

4.2 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება; (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება .

4.3 ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

4.4 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის. გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება „პირველი შ მეთოდი“.

4.5 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.6 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 10-დან 12 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

1. სარტანსპორტო საშუალებები 10-12

2. კომპიუტერული ტექნიკა 10

4.7 არამატერიალური აქტივები 10

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

4.8 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.9 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

4.10 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

5. საქმიანობის შედეგები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

5.1. ნეტო ამონაგები

#	დასახელება	2018
1	პროდუქციის გაყიდვა	3 739 346
2	მომსახურების გაწევა	27 005
	სულ ამონაგები:	3 766 351

პროდუქციის გაყიდვა მოიცავს მხოლოდ ძირითადი პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს, რომელიც შეადგენს 3739346 ლარს, ხოლო მოსახურების გაწევა ხორციელდება კომპანიებთან და ამონაგები შესაბამისად შეადგენს 27005 ლარს. სულ 2018 წლის ამონაგებმა შეადგინა 3766351 ლარი.

#	დასახელება	2018
1	საწყისი მარაგები	56 162
2	მარაგების შესყიდვა	3 137 690
3	გადამუშავების დანახარჯი	3 140 561
4	საბოლოო მარაგები	53 291

საწყისი მარაგები 56162 ლარი მოიცავს მხოლოდ ძირითადი პროდუქციის ნაშთს, შესყიდული 3137690 ლარის მარაგებიდან ძირითად პროდუქციაზე მოდის 3048066 ლარი, ხოლო 89624 ლარი არის მიღებული მასალის ღირებულება. ასევე გადამუშავების

დანახარჯში 3140561 ლარში ძირითად პროდუქციაზე მოდის 3050937 ლარი, ხოლო მასალებზე 89624 ლარი. საბოლოოდ მარაგების ნაშთმა შეადგინა 53291 ლარი.

#	დასახელება	2018
1	სულ ამონაგები	3 766 351
2	პროდუქციის თვითღირებულება	3 140 561
3	საერთო მოგება	625 790

სულ ამონაგებმა შეადგინა 3766351 ლარი. პროდუქციის თვითღირებულებაში გაერთიანდა პროდუქციის ღირებულება 3050937 ლარი, საწვავის ხარჯი 89624 ლარი. საერთო მოგებამ შესაბამისად შეადგინა 625790 ლარი.

#	დასახელება	2018
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	232 968
2	ცვეთა და ამორტიზაცია	7 169
3	იჯარის ხარჯი	50 849
4	ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	210 876
5	სულ საოპერაციო ხარჯი	501 862

მუშების ხელფასმა შეადგინა 232968 ლარი, ცვეთა და ამორტიზაციამ 7169 ლარი, იჯარის ღირებულებამ 50849 ლარი და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იჯარა არის ჩვეულებრივი ანუ მიმდინარე იჯარა და არ არის ფინანსური. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯში 210862 ლარში არის 127500 ლარი ადმინისტრაციის ხელფასები, 70 289 ლარი სატრანსპორტო მომსახურება და 13087 ლარი კი საკომუნიკაციო, საგადასახადო, კომუნალური, საბანკო და სხვა ხარჯი.

#	დასახელება	2018
1	მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	123 928
2	მოგების გადასახადი	0
3	მოგება/(ზარალი)	123 928
4	სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)	123 928
5	მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	123 928

უნდა აღინიშნოს, რომ მოგების გადასახადის ესტონური მოდელის მოთხოვნებიდან გამომდინარე ჩასათვლელმა მოგების გადასახდმა გადაფარა მოგების გადასახდელი თანხა და მოგების გადასახდმა აღარ მოუწია. ამრიგად მთლიანმა სრულმა შემოსავალმა 2018 წელს შეადგინა 123928 ლარი, რომელიც გადატანილი იქნა გაუნაწილებელ მოგებაში.

#	დასახელება	2018
1	საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	218 097
2	სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	123 928
3	კაპიტალის სხვა ცვლილებები	(167 368)
4	საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	174 657

საკუთარი კაპალი წლის დასაწყისში იყო 218097 ლარი, გაიზარდა მოგების ხარჯზე 123928 ლარით, შემცირდა დივიდენდების გაცემის ხარჯზე 167368 ლარით და 2018 წლის ბოლოსათვის შეადგინა 174657 ლარი.

7. ფინანსური მდგომარეობა 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დასახელება	2018	2017
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	110 395	217 904
სავაჭრო მოთხოვნები	151 826	110 584
მარაგები	53 290	56 162
მზა პროდუქცია	53 291	56 162
სხვა მიმდინარე აქტივები	8 894	7 954
სხვა არამატერიალური აქტივები	74 713	81 881
ძირითადი საშუალებები	73 611	80 560
არამატერიალური აქტივი	1 101	1 321
სულ აქტივები	399 118	474 485
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	221 804	256 388
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2657	-
სულ ვალდებულებები	224 461	256 388
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	174 657	218 097
სულ საკუთარი კაპიტალი	174 657	218 097
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	399 118	474 485

ფული და ფულის ეკვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში, სალარო მეურნეობაში და ფული გზაში. კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. 2018 წელს უცხოურ ვალუტაში რაიმე ტრანზაქციები არ უწარმოებებია, მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში ახორციელებდა საბანკო ტრანზაქციებს. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ეკვივალენტებზე იყო 217904 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 4403053 ლარი, გასულია 4510562 ლარი და ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 110395 ლარი.

სავაჭრო მოთხოვნები წლის დასაწყისისთვის იყო 110584 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 4444294 ლარის, ჩაირიცხა მოთხოვნების დასაფარავად 4403053 ლარი და დარჩა მისაღები 151826 ლარი. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს განხორციელდა საექვო მოთხოვნებზე ანარიცხების შექმნა და კორექტირების შეტანა აღარ გახდა საჭირო.

მარაგები კომპანიაში მოიცავს ორ კომპონენტს პირველი მზა პროდუქცია და მეორე საწვავ-საცხები მასალები. წლის დასაწყისისათვის ნაშთი 56162 ლარი მთლიანად არის მზა პროდუქციის ნაშთი, წლის განმავლობაში შემოვიდა სულ 3137690 ლარის მარაგი საიდანაც 3048066 ლარის იყო მზა პროდუქცია, ხოლო 89624 ლარის საწვავ-საცხები მასალა, წლის განმავლობაში მთლიანად გავიდა 3140561 ლარის მარაგი, საიდანაც 3050937 ლარის იყო მზა

პროდუქცია და 89624 ლარის საწვავ-საცხები მასალა. ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 53291 ლარი.

სხვა მიმდინარე აქტივებში ასახული ნაშთი 8894 ლარი არის წინასწარ გადახდილი გადასახადები, რაც დასტურდება საგადასახადო შედარების აქტით.

დასახელება	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	არამატერიალური აქტივი	სულ
ნაშთი 31.12.2017	78 735	1 825	1 321	81 881
შემოსვლა				
ცვეთა	(6 584)	(365)	(220)	(7 169)
ნაშთი 31.12.2018	72 151	1 460	1 101	74 712

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ძირითადად სატრანსპორტო საშუალებებით. პარკი მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. ასევე მოძველებულია კომპიუტერული ტექნიკაც. არამატერიალურ აქტივებში აღრიცხულია დისტრიბუციის სამუშაო პროგრამა. სულ სხვა არამატერიალურ აქტივებზე ნაშთი წლის დასაწყისისთვის იყო 81 881 ლარი, წლის განმავლობაში განიცადა ცვეთა 7169 ლარის და წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 74712 ლარი.

სავაჭრო ვალდებულებები წლის დასაწყისში იყო 256388 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა 3868860 ლარი, გასტუმრებული იქნა 3892778 ლარი, 10666 ლარის განხორციელდა კორექტირება და ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 221804 ლარი.

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ წლის დასაწყისში არ იყო და წლის ბოლოსათვის დარჩა 2657 ლარი. ძირითადად კომპანიას ხელფასის გაცემის დღე აქვს თვის ბოლო რიცხვი, ამიტომ ეს გახლავთ შვებულება.

გაუნაწილებელი მოგების ნაშთი წლის დასაწყისში იყო 218097 ლარი, წლის განმავლობაში დაემატა მოგების სახით 123928 ლარი, გაიცა დივიდენდები 167368 ლარის და წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 174657 ლარი.

8. ფულადი სახსრების მოძრაობა 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2018
1	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	4 403 053
2	წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(4 510 562)
3	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	217 904
4	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	110 395

წლის განმავლობაში მოთხოვნებიდან შემოსულია 4403053 ლარი, ხოლო წლის განმავლობაში მთლიანად გასტუმრებულია 4510562 ლარის ვალდებულებები, მათ შორის მომწოდებლების 3892779 ლარი, ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ 285717 ლარი, გადახდილი დივიდენდები 159000 ლარი, საგადასახადო 171600 ლარი და სხვა 1466 ლარი.

დირექტორი:

გიორგი გელაშვილი